

## ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

### კეთილისა და ბოროტის დიქოტომია და 1930-იანი წლების რეპრესიები ზაირა არსენიშვილის „კენჭებში“

ზეინაბ კიკვიძე

zeinab.kikvidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.16>

კომუნისტურმა პარტიამ საზოგადოების გარდაქმნა საბჭოთა ხალხად მიზანმიმართულად დაიწყოსხვადასხვასაშუალებით, რომელთაშორისუმკაცრესი იყო რეპრესიები. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების სისხლიანმა ტერორმა არამარტო ფიზიკურად გაანადგურა, არამედ უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მოაზროვნე პიროვნებებსა და მათ ახლობლებს. რეპრესიების მსხვერპლად იქცნებ ე.წ. „ხალხის მტრები“, „მავნებლები“, რომელთა ოჯახის წევრებიც, გადარჩენის ინსტინქტის გამო, იძულებული გახდნენ კონფორმისტული დამოკიდებულება ჰქონდათ საბჭოთა სისტემასთან. ზაირა არსენიშვილი მოთხოვნების კრებულში „კენჭები“ თვითმხილველის ტრაგიული ხედვით მოგვითხრობს ურთულეს დროში კეთილისა და ბოროტის დიქოტომიაში ადამიანთა უსასოო ყოფაზე, მედროვეებსა და კეთილშობილებზე. ე. წ. „სტოკოლმის სინდრომზე“, რის საფუძველზეც ადამიანთა უმრავლესობას დაეკარგა სინამდვილის აღქმის რეალისტური უნარი და მათ წარმოდგენაში ბოროტისა და კეთილის დეფინიციებს ადგილები შეეცვალათ.

**სკონძო სიტყვები:** 1930-იანი წლები, საბჭოთა რეპრესიები, დიქოტომია, არსენიშვილი.

დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია და მისი გადაქცევა საბჭოთა ქვეყნად მხოლოდ ერთი ისტორიული ფაქტით არ დასრულებულა; გაცილებით რთული აღმოჩნდა ბოლშევიკებისათვის მოსახლეობის სულიერი გადაგვარება და დამონება. კომუნისტურმა პარტიამ საზოგადოების გარდაქმნა საბჭოთა ხალხად მიზანმიმართულად დაიწყო სხვადასხვა საშუალებით, რომელთა შორის უმკაცრესი იყო რეპრესიები. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების სისხლიანმა ტერორმა არამარტო ფიზიკურად გაანადგურა, არამედ უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მოაზროვნე პიროვნებებსა და მათ ახლობლებს. „რეპრესიების

## აპაკი წერვალურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვე, 2024, №1(23)

სქემა, რომელმაც მაღლე მთელი ქვეყანს მოიცვა, საკმაოდ მარტივი იყო: საბჭოთა კავშირში სტალინის ყველა ფარული თუ აშკარა მოწინააღმდეგი ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო. იჭერდნენ, ხვრეტდნენ, ამხელდნენ ძველ რევოლუციონერებს, მაგრამ მანამდე მათ საშინლად აწამებდნენ, რათა საჩვენებელ ღია სასამართლოებზე ბრალდებულებს ედიარებინათ საკუთარი დანაშაული. ტერორი შეეხო ყველას-სამხედრო პირებს, მეცნიერებს, არტისტებს, სრულიად უბრალო მოქალაქეებს” (ბექიშვილი 2011). რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ ე.წ. „ხალხის მტრები“, „მავნებლები“, რომელთა ოჯახის წევრები გადარჩენისათვის იძულებული გახდნენ კონფორმისტული დამოკიდებულება ჰქონდათ საბჭოთა სისტემასთან.

ზაირა არსენიშვილი მოთხოვების კრებულში „კენჭები“ თვითმხილველის ტრაგიზმით მოგვითხრობს ურთულეს დროში კეთილისა და ბოროტის დიქოტომიაზე, ადამიანთა უსასოო ყოფაზე, მედროვეებსა და ზნეობრივად უმწივოლო ადამიანებზე. ასეთი მდგომარეობის აღსაწერად და დასახსიათებლად სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოყენებულია ტერმინი „სტოკოლმის სინდრომი“, რომელიც ასახავს მსხვერპლის სპეციფიკურ დამოკიდებულებას მოძალადეზე.

ფსიქოლოგიურ კვლევებში დადასტურებულია, რომ ბოროტმოქმედის მიერ ადამიანის მძევლად აყვანის დროს, შესაძლოა, მსხვერპლს განუვითარდეს ემპათიური დამოკიდებულება დამნაშავის მიამართ (მორისონ 2021). ეს ტერმინი სოციალურ ფსიქოლოგიაში შემუშავდა 1973 წლის შემდგომ, როცა სტოკოლმის ერთ-ერთი ბანკის ძარცვის დროს მძევლებს ბოროტმოქმედთან განსაკუთრებული, სიმპათიური ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. „მოცემული მოვლენა, რომელსაც სტოკოლმის სინდრომი ეწოდა, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა ვითარებაში განმეორდა. მისი ფსიქოლოგიური განმარტება წინააღმდეგობრივია, მას ხსნიან, როგორც დაცვის მექანიზმს. ამ მექანიზმს ფსიქოლოგმა ანა ფრონდმა (ზიგმუნდ ფრონდის შვილმა), აგრესორთან იდენტიფიკაცია უწოდა. ადამიანებს ეს ირაციონალური რეაქცია შეიძლება აღმოაჩნდეთ გადარჩენის მცდელობისას, როდესაც რაციონალური რეაქციები არაეფექტური და უიმედოა. აგრესორთან გაუცნობიერებელი სოლიდარობით ადამიანს იმედი აქვს, რომ აგრესორი თავისნაირს ზიანს არ მიაყენებს. ამ ირაციონალური პოზიციის გასამყარებლად მოძალადე აღიქმება, როგორც სიმპათიური და კარგი ადამიანი, რადგან სხვანაირად მასთან იდენტიფიცირება გამნელდებოდა“ (Greenberg 2009: 32).

სავარაუდოა, რომ ასეთი მდგომარეობა საბჭოთა კავშირში დიდი

## ზ. კიკვიძე

რეპრესიების შემდგომ ჩამოყალიბდა და „სტოკოლმის სინდრომი“ განუვითარდა არა ერთ ადამიანს, არამედ, ზოგადად, ყველას, ვისაც საბჭოთა ტერორი შეეხო. ეს უნდა გამოეწვია იმ ფაქტს, რომ იდეოლოგიური წნები, რომელსაც კომუნისტური პარტია იყენებდა მასების დასამორჩილებლად და საკუთარი ხელისუფლების განსამტკიცებლად, ჩაითვალა ეთიკურ-მორალური ღირებულებების მქონე დიად ქმედებად. რის საფუძველზეც ადამიანთა უმრავლესობას დაეკარგა სინამდვილის აღქმის რეალისტური უნარი და მათ წარმოდგენაში ბოროტისა და კეთილის დეფინიციებს ადგილები შეეცვალათ. ასე ჩამოყალიბდა მსხვერპლის მორალი, რომელიც უსასტიკეს ქმედებებს, უდანაშაულოთა წამებასა და დახვრეტას, პოლიტიკურ დევნას სახელმწიფოებრივი ინტერესების პოზიციიდან ამართლებდა და გულუბრყვილოდ მიაჩნდა, რომ საბჭოთა ბელადების სახელით გაკეთებული სისასტიკე მხოლოდ და მხოლოდ ხალხის საკეთილდღეოდ ჩადენილი სიკეთე იყო და სხვა არაფერი.

ზაირა არსენიშვილმა თავის მოთხრობების კრებულში ეს სისასტიკე მტკიცნეულ მხატვრულ რეალობად გარდაქმნა. აქ გაერთიანებულია სამი მოთხრობა: „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“, „კენჭები“ და „ქარიამწევი ფარდის“. სამივე მათგანი რეალურ ფაქტებსა და მოგონებებს ეყრდნობა. პირველში მოქმედი პირი რეპრესირებულის ცოლია, რომელსაც მრავალ განსაცდელთან ერთად ბელადისადმი ტოტალური შიშისა და ზიზღის გამო, ცხოვრება სიზმარ-ცხადად ქცევია. მეორე მოთხრობა რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება და დოკუმენტური პროზის ნიშნებს ამჟღავნებს. აქ ვხვდებით ისეთ ტერმინებს („ჩესეირა“, „ვრიდლო“), რომელთა მნიშვნელობა, შესაძლოა, მხოლოდ ამ ეპოქის მკვლევართათვის იყოს ცნობილი. მესამე მოთხრობაში კი ზაირა არსენიშვილის რომანის „ვა, სოფელოს“ პერსონაჟების ისტორია გრძელდება, ბედი-მდევარი რომ დასწევიათ.

პერსონაჟთა კონტრასტულობაში გამოსახული ტრაგიკომიკურობა ურთიერთპოლარიზაციას ეფუძნება. კრებულის საერთო სახელწოდებით „აენჭები“, მწერალი თითქოს კენჭებს ესვრის უსასტიკეს წარსულს, ფარდის ასახდელად და მისი რეალური სახის გამოსამზეურებლად.

მოთხრობას „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“ ფრჩილებში დაზუსტებული ქვესათაური აქვს – „ქალბატონი თამარის სიზმარი და ცხადი“. ავტორმა იგი დედის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც მთავარი პერსონაჟივით რეპრესირებული და ხალხის მტრად გამოცხადებულის ცოლი იყო. ეს კი ნიშნავდა, რომ ასეთი ადამიანების სიცოცხლეც დიდ საფრთხეში იყო, რადგან მათაც აპატიმრებდნენ, როგორც ჩესეირს და გადაასახლებდნენ კიდეც. ჩესეირი აბრევიატურაა – член семени изменника

## პაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, №1(23)

---

родины – саамшорьбленов мондадлабтиис օջաხის წევრი.

თამარის მეუღლე შალვა, მეცნიერი იყო, ანუ ინტელიგენციის წევრი, რომელიც საქართველოშივე დახვრიტეს, օჯახს კი ეს ინფორმაცია დაუმალეს, ისინიც ფიქრობდნენ, რომმამაშორეულციმბირშიგადაასახლეს და კარგა ხანი თბილი ტანსაცმლისთვის თანხას აკოწიწებდნენ, რომ მისთვის გაეგზავნათ.

მთავარი მოქმედი პირი ინტელექტუალია, უნივერსიტეტის რექტორი დიდი რისკის ფასად თამარს ბიბლიოთეკარად აიყვანს, სადაც ის განაახლებს მთარგმნელობით მუშაობას. საგულისხმოა, რომ თამარი ვაჟას „ამოდის, ნათდებას“ თარგმნის. მგლური კანონის სოციუმის არსებითი მახასიათებელი – დაუნდობლობა და ერთმანეთის გაწირვა ფონად ედება თხრობას. ზ. არსენიშვილი ფსიქო-ფიზიკური პასაჟებით, ხმის ტემბრითა და კილოს შერჩევით ახასიათებს პერსონაჟთა შინაგან სიცარიელესა თუ სიღრმეს. განსაკუთრებით ხელშესახებია ფსევდო-მეცნიერი გიგლა ნიბლას, იგივე ნიბლამის სახე, როგორც იდეოლოგიის მხარდამჭერი, ე.წ. „ვიდეიუშენეცი“, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მეხოტე, რომელიც დისერტაციას წერს და თავი მოაქვს, რომ დღე დღედ არ მიაჩნია, თუ ოც გვერდს მაინც არ დაწერს. რამდენიმე შტრიხიც კი საკმარისია მისი ნატურის წარმოსადგენად: „მოსაწონი მამაკაცის ამპლუა, მოღიმარე სალმიანობა, პრიმიტიული ვირეშმაკობისა და უტიფარი პატივმოყვარეობის ნიმუში“ (არსენიშვილი 2020: 25). თამარი იძულებული ხდება დათანხმდეს გიგლას შეთავაზებას, რომ დისერტაცია გაუსწოროს. ის უნებურად ერთმანეთს ადარებს ვაჟას გენიალურ თხზულებებს და გიგლა-ნიბლას ნაცოდვილარს და დანანებით ხვდება, რომ სწორედ „მდაბიორის უმეცრებით“ სავსე გიგლასნაირთა ეპოქაში რეალურად არ არის ჭეშმარიტი ლიტერატურისა თუ მეცნიერების ადგილი.

არსენიშვილი მკითხველის თვალწინ გადაშლის 30-იანი წლების ტრაგიკულ სინამდვილეს. მისი პერსონაჟები გამოცდიან ყველა იმ ტკივილს, დამცირებას, მიუსაფრობასა და იმედგაცრუებას, რაც განიცადეს ხალხის მტრად წოდებულთა օჯახის წევრებმა, იქნება ეს უმუშევრობა, საცხოვრებლის დაკარგვა, გადარჩნაზე ფიქრი. ამას ემატება კიდევ უფრო მეტად აუტანელი გარიყვა საზოგადოებისაგან, ახლობლებისა და ნაცნობებისაგან. მწერალი წერს: „ბევრს ისე ეჭირა თავი, რომ თითქოს ვერ ცნობდნენ, თვალს არიდებდნენ“ (არსენიშვილი 2020: 28). ავტორი ცდილობს გაარკვევიოს, ასეთ შემთხვევაში როგორ ხდება თავის გადარჩენა, და საერთოდ რა იგულისხმება გადარჩენაში.

ზაირა არსენიშვილი გვიჩვენებს ადამიანთა რადიკალურად განსხვავებულ სახეებს, ერთნი, რომლებიც ცდილობენ ფიზიკურ გადარჩენას, სიცოცხლის შენარჩუნებას და მეორენი, რომელთათვისაც

## ზ. კიკვიძე

ფიზიკური არსებობა არაფერს ნიშნავს სულიერების გარეშე. ერთ-ერთ მონაკვეთში რეპრესირებული დედა-შვილის დანახვისას მათი ოჯახის ახლობელი, მირიან ლალაძე, პოეტად რომ მოჰქონდა თავი და ხელოვნებაზე გატაცებით საუბრობდა, ქუჩის მეორე მხარეს გადადის, რომ მისალმება აირიდოს. მისი პათეტიკური სტრიქონები - „ჩემო მამულო, შენზე ვფიქრობ მე დღე და ღამე, სოფლის ფშა და შორეული სახე თამარისა“ - თითქოს მის მაღალ მოქალაქეობრივ მორალზე ღაღადებს. გარკვეულწილად ამ ფრაზაში მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის კლიშე ირყეკლება. რამდენადაც მწერალი, კრიტიკული რეალიზმის თანახმად, ქვეყნის პატრონად, მის სვე-ბედზე დაფიქრებულ და მოამაგე პირად იდენტიფიცირდებოდა. მთავარი მოქმედი პერსონაჟის შვილს კი უჩნდება შეკვითხვა, „მამულში ჩვენ არ შევდივართ?“. ცხადია, რეპრესირებული და ქვეყნის მტრად შერაცხილი პირის შვილთან რაიმე კონტაქტი საეჭვო და საშიში იქნებოდა სოციალისტურად მოაზროვნე პოეტისათვის, რომელსაც, ერთი მხრივ, სოციალისტური რეალიზმის პრინციპით, „ვინც ჩვენთან არ არის, ის ხალხის მტერია“, უნდა ეწერა, მეორე მხრივ კი, საკუთარი ამხედრებული სინდისი უნდა ჩაეხშო. მირიან ლალაძის პიროვნებისეულ დიქოტომიაში ბოროტი საწყისი იმარჯვებს კეთილშობილების სახელით და ეს ასე უღერს: „მწერალმა ქვეყანას თავი უნდა გადაურჩინოს“. ოპტიმალური გამოსავალი ნაპოვნია, შემოქმედი მაღლა დგას ყოველგვარ რეალობაზე და საკუთარი ეგოც პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია. თუმცა გადის რამდენიმე დღე და ამ მწერლის ქუჩაზედაც ჩამოივლის შინსახვომის შავი მანქანა, რომლითაც წაყვანილები უკან აღარასდონს ბრუნდებიან.

ასეთფონზე მავნებლის ცოლის დასაქმება გმირობის ტოლფასია. სწორედ ასე ლაგდება ერთმანეთის საპირისპიროდ კეთილი და ბოროტი სისხლის წვიმების დროს. ეპოქა ცხადყოფს ადამიანთა სულის დაფარულ შრეებს, რომლებიც ავლენენ კეთილსაც და ბოროტსაც. ერთნი საკუთარი თავის გადარჩენისათვის კონფორმისტულ გზას ირჩევენ, თუმცა მაქსიმალურად ცდილობენ არ გაისვარონ საბჭოთა ბოროტების სიბილწეში. მეორენი ისევ საკუთარი თავის გადარჩენისათვის მოყვასს სწირავენ, აბეზღებენ, დახმარებაზე ხომ ზედმეტია საუბარი.

სასტიკი დროება ისეთ დაღს აჩენს თამარის სულს, რომ მას სიზმარიც კი ცხადად გადაქცევია. თხზულებაში მთელი კოლიზია ეფუძნება სტალინის ბიუსტის დაზიანებას. ეს აბსოლუტურად შოკისმომგვრელი, გამანადგურებელი ფაქტია პერსონაჟისთვის, რადგან არ არსებობს ახსნა თავის გასასამართლებლად. დიდი ბელადის ბიუსტის დაზიანებისათვის, რა თქმა უნდა, სასჯელი უმკაცრესი იქნებოდა. თხზულების პერსონაჟი

## პაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამზე, №1(23)

ქალები ერთმანეთს დახმარების ხელს უწვდიან, დამლაგებელი, რომელიც საკუთარ შურისძებას ბიუსტის გატეხვით ისრულებს, ვერც კი ხვდება, რომ ამით სხვებს წირავს, რადგან მათი პასუხისმგებლობაა თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ ქანდაკებას. მაგრამ არც თამარის და არც მის დამხმარეს აზრადაც არ მოსდით ამხილონ დამლაგებელი, მათ კარგად ესმით, მისი როგორც გამწარებული დედის ტკივილი, რომლის სათავე ისევ და ისევ „ხალხის მამად“ წოდებული ბელადია.

ქალები იწყებენ სხვადასხვა მაღაზიასა თუ საწყობში მსგავსი ქანდაკების ძებნას, რომ გარდაუვალი დაპატიმება აიცილონ თავიდან. ეს ძიება იმდენად გამძაფრებულია, რომ თითქოს სიზმარშიც გრძელდება, სადაც ქანდაკება ქაჯის ფორმას იღებს. გარდაცვლილი ქმარი, მეფისტოფელის არია, გახელილთვალებიანი მკვდრები, ბუზების საკლავიანი ფრავიანი ქაჯი, მრავალშრიანი ალუზირებით გადასწვდება რუსთაველს, გალაკტიონის ლირიკას, გოეთს „ფაუსტს“. „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯნიც, როგორც მავნენი, რეინკარნირებულ საბჭოთა ქაჯებად გადაიქცევიან. დიდი ტერორი „საბჭოთა ქაჯის“ სახით პერსონიფიცირდება, რომელიც რასაც შეეხება, ყველაფერს ანადგურებს.

მოქმედი პირისთვის თითქოს აღარა აქვს მნიშვნელობა მოვლენები რეალობაში ხდება თუ სიზმარში, რადგან ის ტანჯვა, რასაც ტოტალური შიში და მიუსაფრობა ნერგავს, ადამიანს ანადგურებს, მოსვენებას უვარგავს და საბჭოთა ხელისუფლების მიზანიც ხომ ესაა, „გაწმინდოს“ მოსახლეობა მოაზროვნე ნაწილისაგან და გადააქციოს ძალაუფლებას დამორჩილებულ პოპულაციად.

თუმცა მწერლის თვითმიზანი სულაც არ არის საბჭოთა რეპრესიებზე დოკუმენტური სიზუსტით თხრობა. მწერლის მიერ შემოთავაზებული ნარატივები უფრო მეტად ფსიქოლოგიური ტრაგიზმით იტვირთება და ადამიანური ქცევების მოტივაციისა თუ მიზეზების, ან მიზნების სათავეების დადგენას ემსახურება. „სად არის სათავე ბოროტების, ყველაფერს ბოლშევიკებს რომ ვაბრალებთ?“ – ასეთ კითხვას სვამს ავტორი და ეს ფრაზა, როგორც თვითკრიტიკა ისე ჟღერდება, რამდენადაც პირველი პირის მრავლობითი ფორმითაა. მწერალი თითქოს არ გამოჰყოს თავის მთხრობელს ცალკე, მასაც ერთიანი საზოგადოების წევრად მოიაზრებს. იმ საზოგადოებისა, რომლის წევრებსაც, ერთიანი წარსული, ისტორია, ენა, სამშობლო აქვთ; თუმცა კეთილიცა და ბოროტიც მათ ნებელობაშივეა. ამიტომაა, რომ ზ. არსენიშვილი საბჭოთა რეპრესიების ფონზე ადამიანთა ბუნების დიქოტომიურობაზე მიგვანიშნებს, რომელშიც ერთდროულად არსებობს კეთილისა და ბოროტის საწყისი.

ადამიანად არსებობის ეთიკური საზრისი ზოგში წინ აღუდგება

## ზ. კიკვიძე

ეგოცენტრულ მიზნებს და აამაღლებს პიროვნებას, ზოგში კი ბრბოს გავლენა უგუნურ ქმედებას გადამდებად აქცევს. ამიტომაც მიჰყვება მთელ მოთხოვნას ერთგვარ ლაიტმოტივად ვაჟას „ამოდის, ნათდება“. მწერლის ქვეტექსტური მინიშნებაც ცხადია, – ადრე თუ გვიან ბოროტებას ფარდა ახხდება და ყველაფერი დაფარული გაცხადდება.

კრებულის ერთი მოთხოვნას სათაური, „ქარი ამწევი ფარდის“, აღებულია გალაკტიონის ლექსიდან: „სიკვდილის პირად ოდეს ვიქწები, მე ჩემს დემონებს / ვსთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები, / სადაც არა ერთს გავიხსენებ ნანგრევ შენობას./ მათ მხოლოდ ერთი ასწიონ ფარდა/ მზის დამფარავი“ (ტაბიძე 1988: 229).

ამ მოთხოვნაში თითქოს იკვრება მწერლის სათქმელის წრე, რომლის ალუზირებული საყრდენი ვაჟას მოთხოვნაში ამოსული მთვარეა, გალაკტიონის ლექსში ფარდით დამალული მზეა, რომლებმაც უნდა გაკვეთონ ბნელი და ადამიანურ ფასეულობებს ნათელი მოჰქინონ. ეს ნათელი არსენიშვილის პერსონაჟებისათვის ბედი მდევარია, რომელიც მაინც დაეწევა ბოროტისმქნელს და საკადრისს მიუზღავს. მოთხოვნას მთავრი აზრი ძველი ქართული ფრაზეოლოგიზმის – „მამათა სჭამეს კაწახი და შვილთა მოლხვნეს კბილნი“ დადასტურებაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ რომანის „ვა, სოფელოს“ პერსონაჟების შთამომავალთა ამბავი ითხოვბა. 1937 წელში რეპრესირებულების სახლში დამკვიდრებული შინსახომის უფროსის ცოდვებს მისი შვილი ჯონდო იმკის, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდება და მარადიულად ებრძვის ცოდვის ურჩხულებს; გასაქცევად და თავის შესაფარად კი მუდმივად ბავშვობისდროინდელი სხვისი ბაღი ელანდება, სადაც მამამისმა ვარდები აჩეხა. ესეც სიმბოლურ-ალუზიური პასაჟია.

ვარდი ყოველთვის დიდებულ, ყვავილთა მეფედ წოდებულ მცენარედ მიიჩნეოდა. ქართულ მწერლობაში მას განსაკუთრებული დატვირთვა მიეცა და ამას სათავე ქრისტიანულ მწერლობაში დაედო. ვარდის სიმბოლიკამ ახალი ფუნქციებით არსებობა განაგრძოშემდგომი დროის ლიტერატურაში - რენესანსში, აღორძინების ეპოქაში, კრიტიკულ რეალიზმსა თუ მოდერნიზმში. ამ შემთხვევაში ვარდების თემა ალუზიურად უკავშირდება ტიციანის სალექსო სტრიქონს - „ჰაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავრგე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“. ამ ციტატით სიმბოლისტმა პოეტმა ზუსტად დაახასიათა ქართული მოდერნიზმი, ხოლო მეოცე საუკუნის ყველა ლიტერატურული სიახლე ერთიანად განადგურდა და შეეწირა საოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებას. შინსახომელის მიერ ვარდების აჩეხვა სიმბოლურად მიანიშნებს ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილის განადგურებაზე. წინაპრის მიერ დატრიალებული

## აპარი წერვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვი, №1(23)

უარყოფითი ენერგია კი მომდევნო თაობას უბრუნდება ბუმერანგივით და დიდი სულიერი ტკივილის მიზეზად იქცევა. ეს არის იმის შეგრძნება, როგორც სასოწარკვეთილი პერსონაჟი ამბობს, რომ ისინი არავის უყვარან. შეიძლება დავამატოთ კიდეც, არ უყვართ, მაგრამ არც სძულთ. ესეც კიდევ ერთი მტკივნეული პასაუი-ეს არის დიდი ადამიანური მოთმინების ფასად გამომუშავებული შურისძიების არქონა თუ ღვთაებრივი მიტევების უნარი.

ვფიქრობთ, რომ უფრო მეორე, რადგან არათუ მოთხრობათა კრებული, არამედ ზაირა არსენიშვილის მთელი შემოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ უსასტიკეს ეპოქისეულ მოვლენებს ეხება, მთელი სიცხადით აღწერს იმ უბედურებებს, რაც ხდებოდა დიდი ტერორის დროს, მაინც, რაღაც სევდანარევი მიტევების ტონალობაშია დაწერილი, სტრიქონებს შორის რომ მოისმის და ქვეშეცნეულად მუდმივად აფიქრებს ადამიანად ყოფნის მარადიულ საკითხავზე.

„კენჭები“ აერთიანებს, როგორც მწერალი უწოდებს, საბჭოთა დროის პარადოქსებს, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებლადაც კიჩანს, თუმცამათშიმოთხრობილიასაბჭოთაადამიანებისტრაგიკომიკური ყოფა. სათაურებიც ისეა შერჩული, რომ ერთდროულად ჩნდება მწარე სიცილისა თუ ტკივილის შეგრძნება. მართლაც პარადოქსია ის, რომ ერთ-ერთ თხზულებაში („შიშს დიდი თვალები აქვს“) აკადემიკოსი ასეირნებს ძალლს და ყოველდღე ელოდება დაჭრას, მისი შემხედვარე სხვებს ქუჩაში გასვლის ეშინათ, რომ მივესალმოთ, ჩვენც არ დაგვიჭირონო; მეორეში („შლაპა“) ახალგაზრდა ფუნქციონერი ე.წ. შლაპას ინტელიგენტის ატრიბუტად თვლის, ხოლო ინტელიგენტს - ხალხის მტრად.

გადასახლებიდან დაბრუნებულებს მუდმივად ჰქონდათ განცდა, რომ ისევ დააპატიმრებდნენ და ერთ-ერთი მათგანი თვითონვე წავიდა ციმბირში, მაინც გადამასახლებენ და ამდენ მოლოდინს, ბარემ წასვლა სჯობს, პატიმარიც აღარ მერქმევაო. მწერალი აქვე იხსენებს ლანა ღოღობერიძესთნერთად მიქოიანთანსტუმრობას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყანაში ყველა ადმაიანი იმაზე მეტად თავისუფალი იყო, ვიდრე ბელადთან დაახლოებული პირი, ასევე იხსენებს ცნობილ გამონათქვამს - „არის ადამიანი, არის პრობლემა, არ არის ადამიანი და პრობლემაც არაა“. ესეც საბჭოთა სინამდვილის ერთ-ერთი შტრიხი.

პრობლემებიც სწორედ ადამიანთა არარსებობით გვარდებოდა. მწერალი ისევ უბრუნდება ჩესეირის თემას. განსხვავებულად მოაზროვნეთა რეპრესიები ნიშნავდა მათი ოჯახების განადგურებასაც. სპეციფიკური იარლიყების მიკვრა „ხალხის მტრის“ ცოლ-შვილს რიყავდა საზოგადოებისაგან. თუ მამაკაცებს ფიზიკურად ანადგურებდნენ,

## 8. კიკვიძე

ხვრეტდნენ, მათ ცოლებს მორალურად სპობდნენ, რადგან ისინი პოტენციურ ხალხის მტრად მოიაზრებოდნენ. ამ დროს გაჩნდა კიდევ ერთი აბრევიატურა - „ვრიდლო“ - (временныи исполнитель должности лошади) ცხენის როლის დროებითი შემსრულებელი, ასე ეძახდნენ ციმბირში ადამიანებს, ვისაც უმძიმეს საქმეზე ამუშავებდნენ. ესეც ცხადყოფდა, რომ საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლე არაფრად უღირდა.

ზ.არსენიშვილი ზუსტი მიგნებებით, კონკრეტული ფაქტების ფიქსირებით გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანებში მორალური ფასეულობების ნიველირებას, დროების მიხედვით განწყობების ცვლას. საკუთარი ბიოგრაფიიდან იხსენებს ერთ პიროვნებას, რომელიც 1957 წელს რელიგიურ რიტუალში არ იღებს მონაწილეობას. მეტიც, მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს ეკლესიის მიმართ. თუმცა მეოცე საუკუნის დასასრულს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზვრობისას, ყოველი ეკლესიის დანახვისას დემონსტრაციულად იწერს პირჯვარს. აქ ავტორი თვითონვე ასწრებს მკითხველს კითხვას: იქნებ დროებამ ადამიანში სინანული გააღვივა და ღმერთისაკენ მიაბრუნა? მოლოდინიც ასეთია, თუმცა მწერალი ამ ნაცნობისაგან ასე იმოძღვრება: „ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევიო, გამოგადგებაო“.

როგორც ჩანს, ამ ნარატივით იმართება ადამიანთა შინაგანი სამყაროს სიმყიფემტრის, აგრესორის მძლავრობისას, მნელბედობის ჟამს. რაცესოდენ საჩინოა „აბო თბილელის წამებაშიც“. ძვირ-ძვირად ზღვეულნი ირხევიან როგორც ლერწამნი, მაგრამ ისტორიას ჭირთა მთმენი პიროვნებები წერენ.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ასეთი დეტალური და განსხვავებული რაკურსი დღემდე ზაირა არსენიშვილის გარდა, არც ერთ მწერალს არ წარმოუდგენია. საბჭოთა ტერორის უსასტიკეს პერიოდში კიდევ ერთხელ, მთელი სისრულით გამოიკვეთა ადამიანური ბუნების დიქოტომიური ხასიათი - ორი, ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებული საწყისი მართავს პიროვნების ნებელობას. კაცობრიობის ისტორიაც ამ პოლარულობითაა გაჯერებული, თუმცა ხშირად კეთილისა და ბოროტის დეფინიციები ენაცვლება ერთმანეთს და ბოროტების მსახურნი საკუთარ თავს კეთილს, ხოლო საკუთარ უბნელეს და უსასტიკეს საქმეებს კეთილად მოიხსენიებენ. ზაირა არსენიშვილი რეალობის უცხადესად აღწერით, შექსპირული აქცენტებით აფიქსირებს ამ დიქოტომიურ მიმართებას.

## ლიტერატურა

არსენიშვილი, ზაირა. 2020. კენჭები (რჩეული მოთხოვბები). თბილისი: ბ. სულაკაურის გამ-ბა.

ბექიშვილი, ნინო. 2011. დიდი ტერორი და ქართული მწერლობა. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია. მოძიებულია 11.08.2023. <https://www.scribd.com/doc/49236968/>

გიგანი, გ. 2019. „1937-1938 წლების „დიდი ტერორი“. მოძიებულია 30.07.2019. <https://1tv.ge/video/1937-1938-wlebis-didi-terori/>

მორისონ, როჯერ. 2021. სტოკოლმის სინდრომი, მიზეზები და მკურნალობა. მოძიებულია 20.04. 2023. [https://ka.warbletoncouncil.org/sindrome-de-estocolmo-9919..](https://ka.warbletoncouncil.org/sindrome-de-estocolmo-9919.)

ტაბიძე, გ. 1988. ქარი ამწევი ფარდის, თხზულებანი, ორ წიგნად, ტ.I, (ლექსები). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

წიფურია, ბ. 2016. ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიაუნის გამ-ბა.

ჯიშვარიანი, დ. 2023. „სამხედრო კოლეგიისა და“სამეულის“ მუშობა“. წიგნში 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიები საქართველოში. მოძიებულია 20.09.2023. [https://gfsis.org.ge/files/my-world/30/3\\_artcile.pdf](https://gfsis.org.ge/files/my-world/30/3_artcile.pdf)

Greenberg, Karen. 2009. *Stockholm syndrome*. New York: Oxford University Press.

## Literature and Literary Theory

### The Dichotomy of Good and Evil and the 1930s Repressions in Zaira Arsenishvili's Pebbles

**Zeinab Kikvidze**

zeinab.kikvidze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.16>

*The Communist Party began to purposefully transform the public into the Soviet people by way of applying various means, repressions being the most severe among them. The bloody terror of the 1930s both physically destroyed and inflicted a major psychological shock to intellectuals and their close ones. So called 'people's enemies,' 'wreckers' became victims of the repressions, and, owing to the instinct of survival, their*

## ბ. კიკეძე

---

*family members had to conform with the Soviet system. In her book of stories *Pebbles*, from the tragic standpoint of an eyewitness, Zaira Arsenishvili tells about people's desperate being within the dichotomy of the good and evil in the most troubled times, about timeservers and noble ones,, about so called Stockholm syndrome due to which the majority of people lost the capability to perceive reality and, in their imaginations, the definitions of the good and evil exchanged their places.*

**Keywords:** 1930s, Soviet repressions, dichotomy, Arsenishvili.

The occupation of independent Georgia and turning into a Soviet polity were not deemed to a single historical fact; it appeared to be much harder for the Bolsheviks to degenerate and subjugate the population's state of mind. The Communist Party purposefully began to turn the public into the Soviet people by various means, repressions having been the most brutal among them. The 1930s bloody terror both physically extinguished intellectuals and psychologically shocked them and their loved ones.

In her book of stories *Pebbles*, it is with an eyewitness's tragedy that Zaira Arsenishvili tells about the dichotomy of good and evil in those troubled times. In order to describe and characterize such a state, social psychology makes use of the notion *Stockholm syndrome*, a victim's specific response to his or her abuser.

Psychological studies have demonstrated that a hostage may develop empathic connections to his or her captor. Its psychological definition is controversial; it is conventionally defined as a defense mechanism. The psychologist Anna Freud referred to the mechanism as identification with the aggressor. This kind of an irrational response may occur when trying to survive since rational responses are ineffective and hopeless. With unconscious solidarity with the aggressor, a victim hopes that the aggressor will not harm someone like him.

It can be assumed that the similar situation was established in the Soviet Union following the great repressions, and the Stockholm syndrome developed not in a single individual but rather in everyone who was affected by the Soviet terror. This should have been caused by the fact that the ideological pressure, applied by the Communist Party in order to subdue the masses and enhance its power, was accepted as a great deed having ethical and moral values. It was owing to the aforementioned, that most of individuals had become incapable of perceiving the reality, and, in their imaginations, the definitions of good and evil had switched their places. This is how a victim's moral was shaped acquitted severe brutalities, torture and execution of innocent individuals, political persecution based on reasons of state, and naively believed that the brutalities committed on behalf of

Soviet leaders were just good deed for people's well-being and nothing else.

In her book of stories, Zaira Arsenishvili transformed those brutalities into an artistic reality. The book consists of three stories: "When Fear and Terror are Raging," "The Pebbles, and "The Wind that Raises the Curtain." In the first one, a repressed individual's wife is the main character whose life has become a waking dream owing to total fear and disgust, alongside many other misfortunes. The second story consists of several independent parts, demonstrating some features of documentary prose. In it, we come across the terms like *cheseir*, *vridlo*, the meaning of which may be comprehensible only for those researchers who explored the epoch in point. The third story features the continuation of the unfortunate lives of the characters of Zaira Arsenishvili's novel *Alas, Life!*.

Tragicomism, conveyed by means of the contrast of characters, is based on mutual polarization. In the book of stories, entitled as *The Pebbles*, the author seems to throw pebbles to the most brutal past in order to draw curtains apart and to shed light on its actual image.

The story "When Fear and Terror are Raging" has the subtitle: "Ms Tamar's Dream and Reality." The author dedicated it to the memory of her mother who, like the main character, was a wife of the man who was repressed and declared as people's enemy. This implied that she too was endangered, since individuals like her were arrested as well, as a *cheseir*, and even deported. *Cheseir* is an abbreviation standing for a family member of a traitor of the homeland.

The main character is an intellectual; it is noteworthy that Tamar translates the poem "It Rises, It Shines." Ruthlessness and mercilessness, essential properties of a law of the jungle community, are at the backdrop of the narrative. By means of psycho-physical passages, selection of the tones of voice, Arsenishvili describes characters' intrinsic voidness and/or profoundness.

Zaira Arsenishvili portrays diverse images of individuals: those, who try to survive physically, to save their lives, and those, for whom one's physical existence means nothing without spirituality. In one of the passages, when noticing the repressed mother and her child, the friend of the family Mirian Lagadze, who boasted to be poet and used to talk about art with enthusiasm, crossed the street in order to avoid greeting them. Lines of his pathetic verse reflect the cliché of the 19<sup>th</sup> century Georgian literature; according to critical realism, a writer was identified as a caretaker and patron of his country, concerned with its destiny. The main character's child asks a question: Are not we included in the homeland? It is obvious that any contact with a child of the individual, who was repressed and recognized as an enemy of the country, would be suspicious and dangerous for a poet obsessed with socialist ideas, who had, on the one hand, to write in accordance to the principle "Who is not with us is a public enemy," and

## 8. კიკვიძე

---

to subdue his revolted conscience. In Mirian Lagadze's personal dichotomy, the evil principle wins in the name of generosity, and it sounds in the following way: "A writer should do his best to survive for the sake of the country." The ideal way out is found: an artist is above of all kinds of realities and his ego is free of responsibility. However, some days later, he too was visited by the Soviet secret police and was taken away in their black car.

The epoch unveils covert layers of the human soul, emanating both good and evil. Some take a conformist approach to save their lives, albeit doing their best not to be soiled by Soviet foulness; others, also willing to save their lives, do not spare their close ones, informed against them, without wasting words about helping them.

The brutal times left such a stigma on Tamar's soul that her dreams turned into reality. In the composition, the entire collision is founded on damaging Stalin's bust. This isn absolutely shocking, destructing fact for the character because there is no explanation for acquitting oneself.

It seems that it no longer matters for the main character whether things take place in reality or in her dreams since the torture, caused by total fear and helplessness, destroys an individual, makes her restless, and that was the Soviet authorities' objective, that is, 'to clean' the people of its intellectual members and turn them into a population obedient to the authorities.

However, to tell about Soviet repression with documentary precision is not the writer's end in itself. Her narratives are more loaded with psychological tragedy and serves to establish motivations and/or causes and/or objectives of human behaviors. "Where is the origin of evil while we condemn the Bolsheviks for everything?". This is the question put forth by the author, and it is uttered as a self-criticism since it is the first person plural. The writer seems not to distinguish her narrator separately, considering her as one of the entire community, of the community with the common past, history, language, homeland; however, both good and evil reside in their volition. Therefore, at the backdrop of Soviet repressions, Z. Arsenishvili hints to the dichotomy of the human nature, combining the principle of good and evil at a time.

The story "The Wind that Raises the Curtain," the writer's message adopted from Galaktion Tabidze's poem, seems to accumulate the writer's message, alluding the risen moon in Vazha-Pshavela's story and the sun hidden by the curtain in Galaktion Tabidze's verse which have to cut up the dark and shed light on human values. For characters of Zaira Arsenishvili, the light is the destiny which will catch up with the malefactor by all means making him pay adequately. The subject matter of the story is in accord with the old Georgian idiom: "Fathers ate unripe fruit and it set their children's teeth on edge." As we already stated,

the story tells about the descendants of the novel *Alas, Life!*. Jondo, a son of the NKVD (Soviet secret police) chief who lives in the house of the people repressed in 1937, pays for his father's sins, being taken to psychiatric hospital during his eternal struggle with monster of sins. He dreams of somebody else's garden from the times of his childhood in which his father cut down roses. This is another symbolically alluding passage.

*Pebbles* is a congregation of, as the author refers to them, Soviet time paradoxes which do not seem credible from the present standpoint. However, they tell about Soviet individuals' tragicomic lives. The titles are designed so as to combine a bitter laugh and a sense of pain. The writer hereby recollects her and Lana Gogoberidze's, A filial director, encounter with Anastas Mikoyan, the communist statesman, concluding that, in this country, any individual is more free than someone who is close to the party leader. She also recollects the well-known statement: "There is a person, there is problem; no person, no problem." This too is one of the features of the Soviet reality.

Truly enough, problems were solved by means of making individuals no longer alive. The writer goes back to theme of a *cheseir*. Repressions of dissenters entailed destruction of their families. Attaching the label of "People's Enemy" made a repressed one's family alienated from the rest of the community. Not only dissenters were destroyed, but their families as well. While men were destroyed physically, were executed, their wives were destroyed morally, since they were considered potential enemies. It was in that period that another Russian abbreviation was coined: *vridlo* 'an acting horse'. That was to refer to individuals who were made carry out the hardest work. This is another illustration of the fact that the Soviet totalitarian regime did not value human lives.

By means of precise findings, documenting specific facts, Z. Arsenishvili showcases how moral values are leveled among Soviet individuals, how moods are changed with respect to the change of times.

No writer other than Zaira Arsenishvili has so far offered such a detailed and distinct view of the 1930s. It is her who managed to outline a dichotomous character of the human nature in the brutal epoch of the Soviet terror; two, controversial principles control a human will. The history of the mankind has been saturated with this drastic opposition; however, definition of good and evil frequently replace each other, and servants of evil refer to themselves as evil and to their dark and brutal deeds as good ones. By means of a rather vivid description of that reality, with Shakespearean accents, Zaira Arsenishvili portrays the dichotomous relationship.